22/12/2025

MES 3 25 0001820451

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 08.12.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი, სხდომის თავმჯდომარე, სხდომის მდივანი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება:**

ლია გოგიტიძე - დირექტორი;
ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაური N2 საბავშვო ბაღი:
ნანი ლორთქიფანიძე - ქვედანაყოფის ხელმძღვანელი;
ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფი ახალშენის საბავშვო ბაღი:
თალიკო დევაძე- ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.

2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება:

ზოია ლელაძე - მმართველი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ქალაქის N7 საბავშვო ბაღი:
ხათუნა მაცაბერიძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი:
ნუნუ კვახაჯელიძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი:
თამარ კახელი - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი:
ქეთევან კიკნაძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი:
თამარ შველიძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი:
ლილე სამხარაძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

3. ა(ა)იპ-სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება:

ხათუნა გაგუა - დირექტორი;
მარინა შენგელია - დირექტორის მოადგილე
სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი:
ეკა სანაძე - მმართველი;
სოფელი ღანირის საბავშვო ბაღი:
ლელა ქავზინაძე - მმართველი;
სოფელი იანეთის ბაგა-ბაღი:
მედეა ბელქანია - მმართველი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება (სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაური N2 საბავშვო ბაღი):
ირმა გივრაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ჯულია მამალაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი;

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება (სტრუქტურული ქვედანაყოფი ახალშენის საბავშვო ბაღი):

ირმა გივრაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ჯულია მამალაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
გულთამზე ხოროიშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი, წევრი;

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

(ქალაქის N7 საბავშვო ბაღი):
ნინო ბენდელიანი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი):

ნინო ბენდელიანი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი):

ნინო ბენდელიანი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი):

სალომე აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მარეხი ნიკოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი):

სალომე აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მარეხი ნიკოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი):

სალომე აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მარეხი ნიკოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;

მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ-სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი):

ქეთევან ებრალიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ანი თეგეთაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ნანა ბურჯანაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ-სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (სოფელი ღანირის საბავშვო ბაღი):

ქეთევან ებრალიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ანი თეგეთაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ნანა ბურჯანაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ-სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (სოფელ ი იანეთის ბაგა-ბაღი):

ქეთევან ებრალიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ანი თეგეთაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ნანა ბურჯანაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 08 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს ასევე აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის ჩაწერა სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაურის N2 საბავშვო ბაღი;
2. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება - სტრუქტურული ქვედანაყოფი ახალშენის საბავშვო ბაღი;
3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი;
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი;
5. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი;
6. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება -ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი;
7. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის, ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი.
8. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი;
9. ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი;
10. ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება - სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი-ღანირის საბავშვო ბაღი;
11. ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი იანეთის ბაგა-ბაღი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაურის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პირველი საკითხის განხილვას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, თამარ ჩიკვილაძე და სხდომის მდივნის დროებითი უფლებამოსილება გადასცა საბჭოს წევრს - ნინო ლაბარტყავას. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კურიკულუმის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაურის N2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 1 და 2 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 105. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 90 ბავშვისთვის.
კურიკულუმის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
კურიკულუმის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კურიკულუმის ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა შინაარსობრივ მხარეს სტანდარტების მიხედვით, ასევე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ბაღის საუკეთესო გამოცდილებაზე: 1. დაწესებულების წყალმომარაგების სისტემა გადის ფილტრაციას ბიოტალ-10 ის ფილტრით, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ხარისხის შენარჩუნებასა და უსაფრთხო მიწოდებას; 2. დაწესებულება იყენებს ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამას - eproperty.ge, სადაც ატვირთულია ინვენტარიზაციის მონაცემები ბაღების ჭრილში, რაც აადვილებს იდენტიფიცირებას, დამუშავებასა და აღწერას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, გაერთიანების საუკეთესო გამოცდილებასთან დაკავშირებით დაამატა - ხელვაჩაურის ძლიერი მხარე არის ისიც, რომ ხელვაჩაურის გაერთიანებამ უზრუნველყო შესაბამისი კომპეტენციის მქონე აღმზრდელებისა და 66 საათიანი ტრენინგით გადამზადებული აღმზრდელების გადაყვანა აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე. რაც საგანმანათლებლო სტანდარტის წარმატებულ დანერგვას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა IV სტანდარტის შეუსაბამობებთან დაკავშირებით.

კვების დარგში ექსპერტმა, ჯულია მამალაძემ, ისაუბრა მიგნებებზე და განმარტა მენიუს ცდომილებები კალორაჟის კუთხით. ასევე, აღნიშნა სეზონურ და ყოველდღიურ მენიუში გაწერილი პროდუქტების საკმარისი რაოდენობების არარსებობა. აქვე დასძინა, რომ გაერთიანების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დროს არ იყო მიწოდებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, სადაც გაწერილი იქნებოდა ხარვეზების აღმოფხვრის ვადები და აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ არ ჰქონდა გაერთიანებას წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით, რადგან გამორჩათ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული საკითხების შეტანა. თუმცა, მენიუში ცვლილებები უკვე განხორციელებულია და გამოვლენილი ხარვეზების ნაწილი დაკორექტირებულია, ხოლო დანარჩენი შეუსაბამობები გათვალისწინებულია და გაწერილია ტენდერის გეგმაში.
საბჭოს წევრმა, თეა ბაქრაძემ, ხაზი გაუსვა სტანდარტსა და პრაქტიკას შორის განსხვავების მოკლე დროში აღმოფხვრის აუცილებლობას.
საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, რომ 4.4 კომპონენტთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა უზრუნველყოს ერთი წლის ვადაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ხანგრძლივი ვადებით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ჩართულია პროცესებში, თუმცა არის რიგი ხარვეზები, როგორიცაა ბაქან-ლიფტის არარსებობა, რომლებიც მოითხოვს დიდ რესურსს და 2027 წლამდე ვერ მოესწრება, რადგან საჭიროა ტენდერის გამოცხადება.
საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე, დაინტერესდა ფოტოზე აღბეჭდილი დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გვერდით მიმდინარე მშენებლობით.
ამ საკითხზე ექსპერტმა, ირმა გივრაძემ, განმარტა, რომ ფოტოზე კარგად არ ჩანს მშენებარე სახლი, რეალურად, საკმაო მანძილია მშენებლობასა და დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ღობეს შორის.
ამ საკითხზე გაერთიანების დირექტორმა დაამატა, რომ კერძო მშენებლობის მესვეურებმა დადეს პირობა, რომ მხოლოდ დასვენების დღეებში განახორციელებდნენ სამშენებლო სამუშაოებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:52
დასრულების დრო - 14:01

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების(სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაურის N2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 105-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სტრუქტურული ქვედანაყოფი ხელვაჩაურის N2 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 29 ოქტომბრისა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სტრუქტურული ქვედანაყოფი ახალშენის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი, თამარ ჩიკვილაძე, რომელმაც გადაიბარა საკუთარი უფლებამოსილება. შემდგომ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კურიკულუმის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფი ახალშენის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 3 და 4 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 253. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 210 ბავშვისთვის.
კურიკულუმის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კურიკულუმის ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა შინაარსობრივ ნაწილს სტანდარტების მიხედვით, ასევე დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ბაღის საუკეთესო გამოცდილებაზე: 1. დაწესებულების წყალმომარაგების სისტემა გადის ფილტრაციას ბიოტალ-10 ის ფილტრით, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ხარისხის შენარჩუნებასა და უსაფრთხო მიწოდებას; 2. დაწესებულება იყენებს ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამას - eproperty.ge, სადაც ატვირთულია ინვენტარიზაციის მონაცემები ბაღების ჭრილში, რაც აადვილებს იდენტიფიცირებას, დამუშავებასა და აღწერას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა სანიტარული კვანძების სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხით.
კურიკულუმის ექსპერტმა უპასუხა, რომ ახალშენის საბავშვო ბაღში ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ყველა სანიტარული კვანძი ტექნიკურად გამართულია და სტანდარტის შესაბამისადაა მოწყობილი, დაწესებულების სტატუსის მაძიებელი, ასევე, უზრუნველყოფილია ადაპტირებული სანიტარული კვანძით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხით.
კურიკულუმის ექსპერტმა, ირმა გივრაძემ, განმარტა, რომ თანაფარდობა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე, დაინტერესდა წყალმომარაგების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ წყალი ცენტრალიზებულია, ულტრაიისფერი სხივებით იწმინდება სპეციალური რეზერვუარები და სასმელად სრულად ვარგისია, მაგრამ სასმელ წყალს მაინც ყიდულობენ და რეზერვად იყენებენ.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა საკომუნიკაციო გეგმაში არსებულ ორ ჩანაწერზე: ინკლუზიური განათლების ხარისხის გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება ადრეულ განათლებაში.

გაერთიანების დირექტორმა დაუდასტურა, რომ ორივე პროგრამა წარმატებით მუშაობს დღესაც, შექმნილია მულტიდისციპლინარული ჯგუფები, რომლებიც მუდმივად, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებს ოჯახთან და თემთან ცნობიერების ამაღლების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:26
დასრულების დრო - 14:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების (სტრუქტურული ქვედანაყოფის ახალშენის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 253-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას (სტრუქტურული ქვედანაყოფი ახალშენის საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 29 ოქტომბრისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ საპატიო მიზეზის გამო საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, ვეღარ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 85. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ბაღის საუკეთესო გამოცდილებაზე: დაწესებულებას აქვს პოლონეთის პროექტის ფარგლებში შესაბამისი მასალითა და რესურსით აღჭურვილი სენსორული ოთახი, სადაც განთავსებულია მასალა სხვადასხვა სენსორული არხების განვითარებისათვის: ვიზუალური, აუდიალური, სმენითი, ტაქტილური.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეორე სტანდარტთან მიმართებით იდენტიფიცირებული ხარვეზით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ მიგნებებთან დაკავშირებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ყველა შეუსაბამობასთან დაკავშირებით

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა რელევანტური აქტივობები, გარდა 2.2.1 კრიტერიუმის პირველ ინდიკატორში იდენტიფიცირებული შეუსაბამობისა.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ კურიკულუმები ბრძანებით არ იყო დამტკიცებული, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ იმყოფებოდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში და აღნიშნა, რომ სხვა მხრივ, ყველა ჯგუფი მუშაობდა სტანდარტის შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კონკრეტულად, 2.2 კომპონენტში იდენტიფიცირებული ხარვეზის აღმოფხვრის ვადასთან დაკავშირებული საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ მისია, ხედვა ღირებულების დოკუმენტის შექმნაში დაინტერესებული მხარეების სრულად არ იყვნენ ჩართული, თუმცა ამჟამად შექმნილია სამუშაო ჯგუფი და დამტკიცებულია ბრძანებით.
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა გაერთიანების მმართველს, ესაუბრა კონკრეტულად 2.2 კომპონენტთან მიმართებით, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია შეუსაბამოდ, რადგან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია მიემართება სხვა კომპონენტს.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ დამტკიცების ბრძანებაში გამორჩენილი იყო აღმზრდელის სახელმძღვანელო, თუმცა უკვე აღმოფხვრილია აღნიშნული ხარვეზი, კურიკულუმის გაზიარებასთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული იყო პერსონალი, მშობელი. ასევე აღნიშნა, რომ დამტკიცებული იყო ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები თუმცა არ იყო წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტის დანართის სახით, აღნიშნული საკითხი უკვე მოწესრიგებული ჰქონდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს და შესაძლებელია მისი საბჭოს წევრებისთვის გაზიარება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კულიკულუმის განხორციელების ხელშემწყობი სხვა რესურსებით, ასევე ჯგუფის მოწყობის საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს, სააღმზრდელო პროცესი დასრულებული იყო, რის გამოც, არ იყო ჯგუფებში შესაბამისად განლაგებული ინვენტარი.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულითა და კურიკულუმის ტრენინგებით პერსონალის გადამზადების საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ შესაბამის პერსონალთა აბსოლუტური უმრავლესობა არის გადამზადებული და ჯგუფის ოთახებიც დღეის მდგომარეობით სტანდარტის შესაბამისადაა მოწყობილი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა აღმზრდელ პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ ერთ ჯგუფში არის პირველი ცვლის აღმზრდელი, მეორე ცვლის აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე. ჯგუფში არის 34 ბავშვი. დილიდან ჯგუფთან მუშაობს აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიდგომებთან და პრინციპებთან დაკავშირებული საკითხით.
გაერთიანების მმართველმა აღნიშნა, რომ გაერთიანების ბაზაზე დასაქმებულია ინკლუზიის სპეციალისტი, ასევე დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის ფსიქოლოგი. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია პანდუსი, თუმცა არ არის მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტი.
საბჭოს წევრმა, ნანა ათუაშვილმა, რჩევით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, რომ შეექმნა დოკუმენტი, რომლითაც დარეგულირებული იქნება მშობლებთან ურთიერთობის და რეფერირების საკითხი.

საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის არსებობის საკითხით, ასევე ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების წარმოების საკითხით, კერძოდ იმგვარი ხარვეზების აღმოფხვრაზე, რომელსაც არ სჭირდება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული ვადა, არის თუ არა დაწყებული მუშაობა.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზების ნაწილი უკვე მოგვარებულია, ნაწილის მოგვარებისთვის კი თანხა უკვე გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტში. ხოლო, ყველა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა წყლის კვლევების, არტეზიული ჭის, მწერებისგან დამცავი ბადის, სამზარეულო ბლოკის საკითებით.
გაერთიანების მმართველმა აღნიშნა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, არ არის არტეზიული ჭა, შესაბამისად დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ზემოთ დასახელებული სხვა შეუსაბამობები აღმოფხვრილი იქნება მოკლე პერიოდში. რაც შეეხება წყლის კვლევას, ტარდება ექვს თვეში ერთხელ, თუმცა სრულყოფილად არა. იანვრის თვიდან მოთხოვნილი იქნება შესაბამისი სპეციალისტის დანიშვნა, ვისაც დაევალება კონტროლი ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:20
დასრულების დრო - 15: 57

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგები:
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ განმარტა, რომ გარკვეული დეტალების დაზუსტებისათვის საბჭო საჭიროებს საკითხის დამატებით განხილვას და ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო 2025 წლის 11 დეკემბერს. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დაევალა 2.2.1. კომპონენტის მესამე ინდიკატორის დაკმაყოფილების მტკიცებულების, ყველა სააღმზრდელო ჯგუფში დღეისთვის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო-მასალისა და ეზოს მოწყობის ამსახველი ფოტო-მასალის წარმოდგენა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების
(ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეებს, ნინო ბენდელიანს და სალომე აბდალაძეს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი დანარჩენ საბავშვო ბაღებთან მიმართებით წარმოედგინათ პრეზენტაციები და ესაუბრათ დადებითად შეფასებულ საკითხებსა და ძირითად მიგნებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეებმა, ნინო ბენდელიანმა და სალომე აბდალაძემ, წარადგინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულების სტატუსის მაძიებლების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი) დასკვნები და აღნიშნეს, რომ თითოეულ დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით დაფიქსირდა მსგავსი დადებითად შეფასებული საკითხი და ძირითადი მიგნებები, რადგან გაერთიანების დონეზეა შექმნილი თითოეული დაწესებულების სტატუსის მაძიებლის დოკუმენტაცია, რომლებიც შეისწავლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:30
დასრულების დრო - 16: 35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრის შედეგები:
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ განმარტა, რომ გარკვეული დეტალების დაზუსტებისათვის საბჭო საჭიროებს საკითხის დამატებით განხილვას და ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო 2025 წლის 11 დეკემბერს. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დაევალა 2.2.1. კომპონენტის მესამე ინდიკატორის დაკმაყოფილების მტკიცებულების, ყველა სააღმზრდელო ჯგუფში დღეისთვის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო-მასალისა და ეზოს მოწყობის ამსახველი ფოტო-მასალის წარმოდგენა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული დაწესებულებების სტატუსის მაძიებელთა ავტორიზაციის საკითხების განხილვის გადადებიდან გამომდინარე დღის წესრიგში მე-5, მე-6, მე-7 საკითხების ზეპირ მოსმენად განისაზღვრა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღის, სოფელ ღანირის საბავშვო ბაღისა და სოფელ იანეთის ბაგა-ბაღის) ავტორიზაციის საკითხების განხილვა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ებრალიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28 და 29 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 60 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ქეთევან ებრალიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკითხით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა დაწყებული დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მუშაობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, მითითებული ვადები და აქტივობები რელევანტურია და გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ქეთევან ებრალიძემ, დამატებით აღნიშნა, რომ ზოგიერთი თანამშრომელი ბრძანებით არის დანიშნული პოზიციაზე და საშტატო ერთეულით არის წარმოდგენილი, თუმცა საჭიროა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა გამიჯნოს და შესაბამის დოკუმენტში გაწეროს რომელი პოზიცია ითვალისწინებს ბრძანებით დანიშვნას და რომელი ხელშეკრულების გაფორმებას.

საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ გაერთიანებას არ ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა, აღნიშნულ ხარვეზზე უკვე დაწყებულია მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის ორი ჯგუფი და 60 ბავშვი. თითოეულ ჯგუფთან მუშაობს სამი თანამშრომელი: აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე და ძიძა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, კანონის შესაბამისად, ჯგუფში დამატებით სჭირდება აღმზრდელ-პედაგოგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:50
დასრულების დრო - 16: 54

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებას (სოფელი ნაბაკევის ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 ოქტომბრისა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი ღანირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, განაცხადა, რომ გადაუდებელი სამსახურებრივი საჭიროების გამო უწევდა ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარე სხდომის დატოვება და მის ნაცვლად საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ფუნქცია დაეკისრებოდა საბჭოს წევრს, ნინო ლაბარტყავას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ეთანხმებოდნენ თუ არა გადაწყვეტილებას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ ეთანხმებოდნენ.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ებრალიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების სოფელი ღანირის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 18. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 18 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ქეთევან ებრალიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვებთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე, დაინტერესდა სასმელი წყლის მიწოდების საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი სარგებლობს შეძენილი/ნაყიდი წყლით და აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია შეძენილი წყლის რაოდენობრივი ზრდა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ჯგუფში არის ერთი აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე და ძიძა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:19
დასრულების დრო - 17:24

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი ღანირის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 18-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, (ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებას (ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 18-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I და II სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 ოქტომბრისა, ხოლო IV სტანდარტთან მიმართებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხის გათვალისწინებით, მონიტორინგი განისაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი იანეთის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ებრალიძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების სოფელი იანეთის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 1-ელ და 2 აგვისტოს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 75. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 75 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ქეთევან ებრალიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე, დაინტერესდა სანიტარულ კვანძებთან დაკავშირებული საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი ყოველ 15 ბავშვზე და არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა ყოველ 20 ბავშვზე, საპირფარეშოს კარი მოწყობილია სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არ არის ზრდასრულებისთვის განკუთვნილი ადაპტირებული სანიტარული კვანძი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:48
დასრულების დრო - 17: 59

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების (სოფელი იანეთის ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 75-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებას (სოფელი იანეთის ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 75-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I და II სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 ოქტომბრისა, ხოლო IV სტანდარტთან მიმართებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის საკითხის გათვალისწინებით, მონიტორინგი განისაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი/სხდომის მდივანი/სხდომის თავმჯდომარე
ლაბარტყავა ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე